ორგანული ქიმიის ძირითადი პრინციპები

compound interest თარგმანი:ლაშა ხუციშვილი



თუ ოდესმე შამპუნის, სარეცხი ფხვნილის ან სხვა საშუალებების შემადგენლობა წაგიკითხავთ, მაშინ ორგანული ნაერთების სია გინახავთ. ქიმიკოსებისთვის ეს სახელები ასახავენ მოლეკულის ზუსტ შედგენილობას, არაქიმიკოსებისთვის ეს სახელები გაუშიფრავი კოდივითაა ხოლმე. გადავხედოთ ორგანული ნაერთების დასახელების პრინციპებს და „გავტეხოთ“ ეს კოდი.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მოცემული ინფოგრაფიკა საკმარისი არაა იმისათვის, რომ ყველა ორგანული ნაერთის გაშიფვრა შეძლოთ. მათი დასახელება ზოგჯერ საკმაოდ რთულია და, როდესაც ამ წესებით დასახელებული ნაერთი რთული წარმოსათქმელია, ქიმიკოსები ხშირად ამ ნაერთს მოკლე სახელს არქმევენ ხოლმე დამახსოვრების და ყოველდღიურად გამოყენების მიზნით, მაგალითად: (*S*)-3-[1-მეთილპიროლიდინ-2-ილ]პირიდინი ცნობილია, როგორც ნიკოტინი. ამ ინფოგრაფიკის მიზანია, რომ წარმოდგენა შეექმნას მკითხველს, თუ რა პრინციპით სახელდება ორგანული ნივთიერებები.

მომავალში შემოგთავაზებთ ინფოგრაფიკას ფუნქციურ ჯგუფებსა და იზომერიაზე.